თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 14

14 დეკემბერი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, იმედა კევლიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, გელა ესიტაშვილი, მარიამ ლილუშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

თავმჯდომარემ ისაუბრა რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზებზე და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი

15.00სთ-დან- 15.20 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი

15.00სთ-დან- 15.20 სთ-მდე

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> **დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ითვალისწინებს იმ პროექტებს, რომელთა განხორციელებასაც ითხოვდა მოსახლეობა.

ი.კევლიშვილმა დასვა კითხვა სოფელ წინანდალში საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

ნ.მაისურაძემ და თ.ხოსროშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტეს, რომ აღნიშნული გზის რეაბილიტაცია მოხდება 2023 წელს.

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით კითხვები დასვეს **გ.ლაფაურმა, რ.იმერლიშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, გ.ქართლელიშვილმა.**

საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხეს **მომხსენებელმა და თ.ხოსროშვილმა.**

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი** დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**

TELAVI MUNICIPALITY COUNCIL GEORGIA
23129535